



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

2008–2018 ათი წელი გუქარესტიდან:  
„საქართველო გახდება ნატოს წევრი“

ალექსი ჰებრიაშვილი

100

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## ექსპერტის აზრი

ალექსი პეტრიაშვილი

2008–2018 ათი წელი გუქარესტიდან:  
„საქართველო გახდება ნატოს წევრი“

100

2018



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2018 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-0051-1

10 წლის წინ, 2008 წლის 2-4 აპრილს, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართა ნატოს სამიტი, რომელიც დრამატულობის თვალსაზრისით ალიანსის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული, ხოლო შედეგებით საბედისწერო აღმოჩნდა. 4 აპრილს, გამთენიას, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ საქართველო და უკრაინა გახდებოდნენ ნატოს წევრები, საქართველოსთვის მოვლენების უმძიმესი განვითარება მოჰყვა, ხოლო ცივი ომის დასრულების შემდეგ დემოკრატიული თანამეგობრობა ყველაზე მძიმე გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიულ სამიტს წინ უძღოდა ინტენსიური მოლაპარაკებები – სამიტამდე თვეების და კვირების, ხოლო უშუალოდ სამიტზე 2 დღე-ღამის განმავლობაში. მას შემდეგ ათი წელი გავიდა, მაგრამ ბუქარესტში ნატოს სახელმწიფოთა მეთაურების შეთანხმება კვლავაც აქტუალურია და მსჯელობის საგანს წარმოადგენს. ვიდრე კონკრეტულად გადაწყვეტილებას და მის მნიშვნელობას შევხებოდეთ, მნიშვნელოვანია გავისხენოთ, თუ როგორ ვითარდებოდა პროცესები საერთაშორისო ურთიერთობებში 2007-2008 წლებში.

2007 წელს ვ. პუტინმა თავის ისტორიულ მიუხეხნურ გამოსვლაში ღიად განაცხადა ერთპოლუსიანი მსოფლიოს მიუღებლობაზე, ახალი უსაფრთხოების არქიტექტურის იდეაზე და რომ მზად იყო საპასუხო ზომების მისაღებად. მის გამოსვლაში ძალიან მკაფიოდ გაჟღერდა მუქარა, რომ რუსეთი აღარ შეეგუება არსებულ მსოფლიო წესრიგს და აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას საერთაშორისო ასპარეზზე<sup>1</sup>. ეს გამოსვლა, სამწუხაროდ, სათანადო რეაქციის გარეშე დარჩა როგორც მიუხეხნეში, ისე შემდგომ. რუსეთის ლიდერისთვის დასავლეთის მხრიდან მძაფრი რეაქციის არარსებობა იყო სხვა არაფერი, თუ არა სისუსტის გამოვლინება. ამას მოჰყვა ნატოს წევრი სახელმწიფოს – ესტონეთის – წინააღმდეგ განხორციელებული კიბერშეტევა – პირველი შეტევა ცივი ომის დასრულების შემდეგ, რომელიც ასევე სათანადო პასუხის გარეშე დარჩა. უფრო მეტიც, ნაცვლად მძაფრი საპასუხო ნაბიჯებისა, დასავლეთი უფრო მეტ ინტეგრირებას და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატს სთავაზობდა რუსეთს<sup>2</sup>. თავის მხრივ, დასავლეთმა, რუსეთის გლობალურ სისტემებში ჩართვის და თანამშრომლობის გაღრმავების პარალელურად, მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, რასაც წინ უძღოდა

ვ. პუტინის გაფრთხილება: 2008 წლის 14 თებერვალს ვ. პუტინმა შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თუ დასავლეთი აღიარებს კოსოვოს დამოუკიდებლობას, „ჩვენ არ დავინყებთ მაიმუნობას და სარკისებრი ნაბიჯების გადადგმას, მაგრამ ჩვენ გვაქვს საშინაო სამზადისი („დომაშნიე ზაგოტოვკი“), რომელსაც ავამოქმედებთ“<sup>3</sup>. ერთი თვის შემდეგ, მარტში, რუსეთის პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაღრმავების შესახებ.

ახლოვდებოდა ნატოს სამიტი ბუქარესტში. საქართველოს ხელისუფლების და ქართული დიპლომატიის მთელი ძალისხმევა მიმართული იყო სამიტზე ნევრობის სამოქმედო გეგმის მიღებაზე. აშშ-ისა და უშუალოდ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მხრიდან იყო იმ დრომდე არნახული, ძლიერი და ღია მხარდაჭერა. ის უშუალოდ ესაუბრებოდა ტელეფონით ევროპული ქვეყნების ლიდერებს და შეძლო კიდევ ყველას დათანხმება, გარდა გერმანიის კანცლერისა. ექსპერტები როდესაც აფასებენ გერმანიის კანცლერის მაშინდელ გადაწყვეტილებას, ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ მის არცთუ ისე კარგ დამოკიდებულებას საქართველოს იმჟამინდელ პრეზიდენტთან<sup>4</sup>. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ეს არ იყო მიზეზი, არც მთავარი და არც მეორეხარისხოვანი. გერმანიას იმ პერიოდში ისევე, როგორც სხვა ისტორიულ მომენტებში, ჰქონდა რუსეთთან და მის ლიდერთან განსაკუთრებულად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება. უდიდესი გავლენის მქონე გერმანული ბიზნესი სისხლხორციეულად იყო დაინტერესებული ამ ურთიერთობების შენარჩუნებით და კიდევ უფრო მეტად გაღრმავებით. კანცლერ მერკელსაც, ბუნებრივია, უნევდა მათი აზრის გათვალისწინება<sup>5</sup>. მაგრამ რა იყო მთავარი შემაფერხებელი ამ გადაწყვეტილებისთვის? მოდი, ვთქვათ სიმართლე: როგორც გერმანიის კანცლერს, ისე ევროპელი ლიდერების ნაწილს ემინოდა, რომ მაპის მინიჭება იქნებოდა რუსეთისთვის წითელი ხაზის გადაკვეთა და რუსეთი ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად აგრესიული ქმედებით უპასუხებდა, დასავლეთში კი რუსეთთან დაპირისპირებისთვის მზად არავინ იყო<sup>6</sup>. ასევე სკეპტიკურად განწყობილ პოლიტიკოსთა და ექსპერტთა წრეებში ღვივდებოდა აზრი (რა თქმა უნდა, რუსეთის აქტიური ძალისხმევით), რომ საქართველოს ხელისუფლება, მაპის მინიჭების შემთხვევაში, ისარგებლებდა ვითარებით და შეეცდებოდა ტერიტორიული

მთლიანობის ძალისმიერი გზებით აღდგენას. იმჟამინდელ ხელისუფლებაში მართლაც იყვნენ ე.წ. ქორები, მაგრამ მაპის მინიჭების შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რაიმე გაუთვალისწინებელი ნაბიჯების გადადგმა გამორიცხული იქნებოდა.

როგორც მოვლენების დრამატულმა განვითარებამ გვიჩვენა, რუსეთს მართლაც ჰქონდა აგრესიული ზრახვები და აღასრულა კიდევ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციით, მაგრამ გაბედავდა კი ის ამ ზრახვების შესრულებას, თუკი ნატო გამოიჩინდა სიმტკიცეს და ხმამალა იტყოდა, რომ საქართველოს ინვევდა ნატოში განევრიანების მოლაპარაკებებზე? აქ აზრი ორად იყოფა. მე, პირადად, მივაკუთვნებ ჩემს თავს იმ აზრის მიმდევრებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ვ.პუტინის რუსეთთან ლაპარაკი და ურთიერთობა საჭიროა ძალის პოზიციიდან, ანუ თუკი ალიანსი თავის გადანყვეტილებას უყოყმანოდ მიიღებდა და ქმედებასაც მალევე მოაყოლებდა, ვ. პუტინი, თუნდაც ნავთობდოლარებით მოლონიერებული, მცირერიცხოვან ჩეჩენ ერზე, საკუთარ მოქალაქეებსა და პოლიტიკურ ოპონენტებზე სასტიკი ანგარიშსწორებით გათამამებული, თავის ადგილს მოძებნიდა და საზღვართან ალიანსის კიდევ ერთი ნევრის გაჩენასაც დროთა განმავლობაში შეეგუებოდა.

დავუბრუნდეთ ბუქარესტის სამიტს, სადაც ლიდერებს შორის კონსენსუსის არარსებობის გამო ჩიხური მდგომარეობა შეიქმნა. როგორც წესი, სამიტები წარმოადგენს მრავალთვიანი წინასწარი მოლაპარაკებების ცერემონიალურ გვირგვინს. რეალური სამუშაო მართლაც გაცილებით ადრე იწყება და უშუალოდ სამიტი, თუკი არ არის რაიმე საგანგებო ვითარება (მაგ., რუსეთის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია და მიმდინარე საომარი მოქმედებები იყო უელსის სამიტის ცენტრალური საკითხი და ძირითადი მსჯელობაც სწორედ რუსეთის მხრიდან განხორციელებულ მორიგ აგრესიას დაეთმო), წარმოადგენს მიღწეული გადანყვეტილებების საზეიმო გაფორმებას. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს მომავალთან ერთად ბუქარესტში აშშ-ის, როგორც ზესახელმწიფოს, პრესტიჟიც სასწორზე დაიდო. ამიტომ იყო საჭირო კომპრომისული, მაგრამ ხელშესახები გადანყვეტილების მიღება. დიდი დიპლომატიური ბატალიების შედეგად ნატოს სახელმწიფოთა მეთაურების დეკლარაციაში ჩაინერა, რომ უკრაინა და საქართველო გახდებიან ნატოს ნევრები.

მომდევნო წინადადებებში კი ეწერა, რომ უკრაინის და საქართველოს ნატოში წევრობის გზაზე შემდეგი ნაბიჯი იქნება მაპი; რომ დაავალეს საგარეო საქმეთა მინისტრებს 2008 წლის დეკემბერში მაპის მინიჭებაზე დაწყებული ინტენსიური ურთიერთობების შესახებ პროგრესის პირველი შეფასების მომზადება; და რომ ნატოს მინისტრებს ეძლევათ უფლებამოსილება, მიიღონ გადაწყვეტილება უკრაინისა და საქართველოსთვის მაპის მინიჭების თაობაზე<sup>7</sup>.

იყო თუ არა ეს ისტორიული გადაწყვეტილება? დიახ. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მივიღეთ ნატოს წევრი სახელმწიფოების მიერ გაცხადებული გადაწყვეტილება. სკეპტიკოსი სახელმწიფოების სკეპტიკოს პოლიტიკოსებს დღეს ძალიან არ მოსწონთ და პირად საუბრებში არც მალავენ, რომ გახდნენ მძევლები ამ გადაწყვეტილების, რომ ეს ბოჭავთ მათ შემდგომ მოქმედებებში და გადაწყვეტილებებში და ა.შ. თავად ნატოს შიგნით ერთგული მხარდამჭერებისთვის კი ეს არის ძალიან სერიოზული „იარაღი“ საქართველოს ნატოში განწევრიანების მისაღწევად. რაც შეეხება საქართველოს, ობიექტურად უნდა ითქვას, რომ ეს ნამდვილად იყო ქართული დიპლომატიის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება.

სამიტის დასრულებისთანავე, შემდგომი თვეებისა და წლების განმავლობაში, ამ გადაწყვეტილებამ გააჩინა რიტორიკული კითხვა: იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება მართლაც მაპზე მეტი? მიუხედავად მისი ისტორიული მნიშვნელობისა, გამომდინარე შემდგომ სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან, ასევე იმ განცხადებებიდან, რომლებიც დღეს კეთდება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არა. ყველა შემდგომ დეკლარაციასა და კომუნიკეში, სადაც ისეთი მნიშვნელობის ჩანაწერებიც კი გაჩნდა, რომ საქართველოს აქვს ყველა ინსტრუმენტი ნატოში გარდაუვალი წევრობისთვის, მაინც მომდევნო წინადადებებში მკაფიოდ წერია, რომ მაპი რჩება აუცილებელ პირობად ნატოში განწევრიანებისთვის<sup>8</sup>.

იყო თუ არა ეს ირიბი ნიშანი ვ.პუტინისთვის, რომ ზრახვების განხორციელების გადადება არ შეიძლებოდა? სამწუხაროდ, დიახ. ექსპერტულ წრეებში გავრცელებულია ასეთი აზრიც, რომ თუ საერთოდ არავითარი გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული, კრემლში, შესაძლოა, არც კი ეფიქრათ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე. ეს მიდგომა მცდარია. საქართველო მყარი ნაბიჯებით მიიწევდა ნატოში განწევრიანებისკენ და სულ უფრო

შორდებოდა რუსულ ორბიტას. ჩემი მიზანი არ არის ვინმეს, გარდა რუსეთის, მხრებზე გადავიტანოთ 2008 წლის აგვისტოს ომის პასუხისმგებლობა, თუმცა დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის მაპის მინიჭებაზე უარის თქმამ ერთმნიშვნელოვნად უბიძგა რუსეთს სამხედრო აგრესიისკენ<sup>9</sup>.

რუსეთმა მოიგო 5-დღიანი ომი, დაიპყრო საქართველოს ტერიტორიების 20%-ზე მეტი, მაგრამ ვერ მოიგო მთავარი ბრძოლა – საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანის მხარდაჭერა, მიუხედავად ომის შემდგომ პირველ თვეებში მცირედი რყევებისა, 70%-ის ფარგლებში ნარჩუნდება. საქართველომ საერთაშორისო მხარდაჭერით შეძლო ომის შემდგომი სარეაბილიტაციო ეტაპის სწრაფად და წარმატებით გავლა. უფრო მეტიც, საქართველო ჩაერთო ავღანეთის საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში, რითაც მიმღებიდან გარდაიქმნა უსაფრთხოების მიმწოდებელ სახელმწიფოდ. დღემდე საქართველო წარმოადგენს არანეკრ სახელმწიფოებს შორის ყველაზე მსხვილ კონტრიბუტორს. დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, ისტორიული იყო 2012 წელს არჩევნების შედეგად ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით დაწყებული პროცესების წარმატებით გაგრძელება. ეს ყოველივე სათანადოდ არის შეფასებული ნატოს მხრიდან, რაც აისახება კიდევ ნატოს უელსისა<sup>10</sup> და ვარშავის სამიტების კომუნიკებში.

დღესდღეობით საქართველოს აქვს ნატოსთან დიალოგის ფორმატი, ყოველწლიური პროგრამა, ერთობლივი სანვრთნელი ცენტრი კრწანისში, ჩართული მყისიერი რეაგირების ძალებში, არის გამორჩეული პარტნიორების ჯგუფის წევრი და ატარებს საკუთარ ტერიტორიაზე ნატოს წვრთნებსა თუ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს და სამხედრო კომიტეტის გასვლით სხდომებს, აქტიურად განიხილება საქართველოს ჩართვა ახალი უსაფრთხოების მექანიზმებშიც, კონკრეტულად, შავი ზღვის მიმართულებით. ერთი სიტყვით, ჩვენს ქვეყანას მართლაც აქვს ყველა ინსტრუმენტი ნატოში საბოლოო განევრიანებისთვის.

რა პროცესები მიმდინარეობს გლობალურად? დაძაბულობა ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით, სისხლისმღვრელი კონფლიქტი სირიაში და საბრძოლო მოქმედებები უკრაინაში კვლავინდე-



ბურად წარმოადგენს საერთაშორისო სტაბილურობისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს და ყველგან დემოკრატიული თანამეგობრობის ძალისხმევას უპირისპირდება ვ.პუტინი. აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობები ცივი ომის დასრულების შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულზეა. სანქციები ადევთ რუსულ სანარმოებს, კომპანიებს, მაღალი თანამდებობის პირებსა და მსხვილ ბიზნესმენებს, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ვ.პუტინის გარემოცვიდან 13 ადამიანის წინააღმდეგ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის საქმეზე. სირიაში კი საქმე სამხედრო დაპირისპირებამდეც მივიდა. სადაზვერვო მონაცემებზე დაყრდნობით, ე.წ. კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ დაქირავებულებს ვ.პუტინის უახლოესი გარემოცვიდან მწვანე შუქი ჰქონდათ ამერიკულ სამხედრო დაჯგუფებაზე იერიშის მისატანად, რასაც პენტაგონის უმკაცრესი, გამანადგურებელი რეაგირება მოჰყვა. ანალოგიური ვითარებაა ნატოსა და ევროკავშირს, ამ ორგანიზაციების ინდივიდუალურ წევრებსა და რუსეთს შორის ურთიერთობებშიც, რომელიც უკრაინაში განხორციელებული აგრესიის, ჰოლანდიური სამოქალაქო სამგზავრო თვითმფრინავის რუსული სარაკეტო სისტემით ჩამოგდებისა და რუსეთის მხრიდან რბილი ძალის მთელი სიმძლავრით ამოქმედების არაერთი ფაქტის გამო ასევე ძალიან გაუარესდა. აშშ-მ და ევროკავშირმა კოორდინირებულად შემოიღეს მის წინააღმდეგ სანქციები, ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, ხმელეთზე, ჰაერსა და ზღვაში განლაგდა ნატოს სამხედრო კონტინგენტი, რუსეთი გააძევეს დიდი რვიანის ფორმატიდან, ჩამოართვეს ხმის უფლება ევროპის საბჭოში, მინიმუმამდე დასული უმაღლეს დონეზე კონტაქტი და ა.შ.

თუმცა, როდესაც საკითხი ეხება საქართველოს, მის ნატოში განწევრიანებას, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ევროპაში და არც ოკეანის გაღმა არ შეინიშნება მზადყოფნა ბუქარესტის სამიტის გადწყვეტილების სისრულეში მოყვანისთვის. ალიანსი თავის განცხადებებში რეფორმების გაგრძელების აუცილებლობაზე, საქართველოს საერთაშორისო მისიებში შეტანილი წვლილისთვის მაღლიერებასა და ნატოს ღია კარის პოლიტიკის ერთგულების დადასტურებაზე აკეთებს აქცენტებს<sup>11</sup>. ღია საუბრებში ჩვენი ქვეყნის ერთგული მეგობრები, როგორც მოქმედი, ისე ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები, წამყვანი კვლევითი ცენტრების ექსპერტები და გავლენიანი ე.წ. აზრის შემქმნელები კვლავ მოგვინოებენ სტრატეგიული მოთმინებისკენ<sup>12</sup>.

ახლოვდება ბრიუსელის სამიტი. უკვე კეთდება განცხადებები, რომ საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები და საერთაშორისო უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილი აუცილებლად ჰპოვებს სათანადო ასახვას ნატოს გადანყვეტილებებში. გასაგებია, რომ მაპის მონიჭების შანსი კვლავინდებურად არცთუ ისე მაღალია, მაგრამ რა კეთდება და რა უნდა გავაკეთოთ დარჩენილ დროში სამიტამდე ან მის შემდგომ ამ შანსის მაქსიმალურად გასაზრდელად და თუნდაც მომავალ, ნატოს დაარსების 70-ე საიუბილეო წელს დაგეგმილ სამიტზე მისაღებად?

ნატოს უელსის სამიტამდე საქართველოს ხელისუფლებაში იყო შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ჰქონდა შეთანხმებული პოზიციები, თუ მაქსიმუმ რა შეიძლებოდა მიგველო ნატოს სამიტიდან. სხვადასხვა დონეზე იმართებოდა ვიზიტები ნატოს წევრი ქვეყნების დედაქალაქებში; ყველა საერთაშორისო ფორუმზე განიხილებოდა საქართველოსთვის მაპის მინიჭების აუცილებლობა და ა.შ. კეთდებოდა ერთობლივი მიმართვები სამოქალაქო საზოგადოებისა და პროდასავლური პოლიტიკური ძალების მხრიდან და სხვა.

ხელისუფლება ყველა საერთაშორისო ღონისძიებასა თუ უმაღლესი დონის ვიზიტზე ღიად აცხადებს, რომ ნატოში განწევრიანება არის საქართველოს მთავარი პრიორიტეტი; ასევე ცნობილია, რომ ყველა შეხვედრაზე ქართული მხრიდან დგება ნატოში განწევრიანების დაჩქარების საკითხი, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს, მაგრამ საზოგადოებაში მაინც არის უკმარისობის გრძნობა. ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები, რომ საზოგადოებაში არ უნდა გავაჩინოთ გადაჭარბებული მოლოდინი, რომ დასავლელი პარტნიორები მოგვინოებენ მოთმინებისკენ და რომ ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ ჩვენს წვლილს საერთაშორისო უსაფრთხოებაში და ჩვენ მიერ განხორციელებულ რეფორმებს, ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ხელისუფლება წინასწარ არის შეგუებული ბედს და ცდილობს ზედმეტი აქტიურობით უხერხულობა არ შეუქმნას პარტნიორებს. ჩემი აზრით, თუკი მართლაც არსებობს ასეთი მიდგომა, რომ სტრატეგიული მოთმინებით შესაფერისი მომენტი თავისით მოვა და ერთ მშვენიერ დღეს ალიანსი ჩვენი აქტიურობის გარეშეც მიიღებს გადანყვეტილებას, ეს მიდგომა მცდარია და ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მიი-

ლოს ზომები. სკეპტიკოსებსა და პრორუსულ წრეებში ყოველთვის მოიძებნება არგუმენტი, რომ საქართველოს ნატოში განევრიანებამ შეიძლება ბიძგი მისცეს არათუ რეგიონში ახალ სამხედრო ესკალაციას, არამედ ნატოსა და რუსეთს შორის ომს; ასევე არსებობს საფრთხე, რომ თუ რუსეთთან დასავლეთის ურთიერთობები გამოსწორდება, ჩვენი ნატოში მიღება კიდევ დიდი ხნით გადაიდება. ამიტომ ყველაზე სწორია, რომ ვეცადოთ, ასეთი მომენტის დადგომას ჩვენ თვითონვე მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი, როგორც ამას ბალტიის ქვეყნები აკეთებდნენ.

რა შეიძლება გაკეთდეს დარჩენილ დროში ბრიუსელის სამიტამდე და რა უნდა გაკეთდეს მის შემდგომაც, რომ სწრაფად მივიდეთ ბუქარესტის გადანყვეტილების პრაქტიკულ განხორციელებამდე?

1. პირველი და უმთავრესი არის პოზიციაზე შეთანხმება, თუ რას მოითხოვს საქართველო ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური ალიანსისგან – ა, ბ, გ პრინციპით (პრინციპი – მოითხოვე მეტი, რათა მიიღო სასურველი – ხშირ შემთხვევაში შედეგის მომტანია);
2. უნდა მოხდეს ქვეყნის შიგნით კონსოლიდაცია როგორც პოლიტიკურ ძალებს შორის, ისე სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართვით;
3. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უმოკლეს დროში ჩაატარებს ვიზიტებს ბრიუსელსა და წევრი ქვეყნების დედაქალაქებში და გაახმოვანებს ჩვენი ქვეყნის მოლოდინს;
4. აუცილებელია აქტიური მედიაკამპანიის წარმოება წევრ ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად;
5. მნიშვნელოვანია დაიწყოს კვლევა (ხელისუფლებისა და კვლევითი ცენტრების თანამშრომლობით), თუ რა გზებით შეიძლება დაჩქარდეს ნატოში განევრიანება, შემუშავდეს კონკრეტული წინადადებები მოლაპარაკებებისთვის; მოხდეს შესწავლა, თუ როგორია ნატოს წესდებასთან და კონკრეტულად მის მე-5 მუხლთან დაკავშირებით არსებული დაბრკოლების გადალახვის გამოცდილება;

6. მაღალი ალბათობით, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის მაკედონიის სახელთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდება კომპრომისის მიღწევა და, შესაბამისად, მაკედონია იქნება შემდეგი ქვეყანა, ვისაც მიიწვევენ ალიანსში გასაწევრიანებლად. ნატოს აქვს ასპირანტი ქვეყნების ე.წ. კალათებში განთავსების პრაქტიკა და გამოცდილება. მიზანშეწონილია კონსულტაციების დაწყება ნატოს წევრ პარტნიორ ქვეყნებთან მაკედონიასთან ერთად საქართველოზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობისათვის;
7. ქვეყნის შიგნით კამპანიის გააქტიურება – რუსული რბილი ძალის საპირწონე ნაბიჯების გადადგმა და საზოგადოების კონსოლიდაცია ნატოში გაწევრიანების მიზნის ირგვლივ.

**ამრიგად, მხოლოდ ერის კონსოლიდაცია, ქვეყნის მოდერნიზაცია და სრულფასოვანი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის გზა საქართველოსთვის, რომ განვითარდეს, გამთლიანდეს და შედგეს, როგორც დემოკრატიული, ძლიერი და წარმატებული ევროპული სახელმწიფო.**

## შენიშვნები

1. Speech and the Following Discussion at the Munich Security Conference, Feb 10, 2007, ობ.: [www.en.kremlin.ru/events/president/transcripts/24034](http://www.en.kremlin.ru/events/president/transcripts/24034); Putin Says U.S. is Undermining Global Stability – The New York Times, Feb 11, 2007; ობ.: [www.nytimes.com/2007/02/11/world/europe/11munich.html](http://www.nytimes.com/2007/02/11/world/europe/11munich.html)
2. David J. Kramer: Back to containment: Dealing with PUTIN’S REGIME, 2018; ობ.: [www.mccainstitute.org/new-book-david-j-kramer-back-containment-dealing-putins-regime/](http://www.mccainstitute.org/new-book-david-j-kramer-back-containment-dealing-putins-regime/)
3. Vesti.Ru: Путин: у нас есть домашние заготовки на случай признания независимости Косова; ობ.: [www.vesti.ru/doc.html?id=163610](http://www.vesti.ru/doc.html?id=163610)
4. Ronald D. Asmus, A Little War That Shook The World, ობ.: [www.gmfus.org/publications/little-war-shook-world-georgia-russia-and-future-west](http://www.gmfus.org/publications/little-war-shook-world-georgia-russia-and-future-west)
5. David J. Kramer, დასახ. წყარო
6. NATO Expansion Defeat, DER SPIEGEL, Apr. 3, 2008. ობ.: [www.spiegel.de/international/world/nato-expansion-defeat-france-and-germany-thwart-bush-s-plans-a-545078.html](http://www.spiegel.de/international/world/nato-expansion-defeat-france-and-germany-thwart-bush-s-plans-a-545078.html)
7. Bucharest Summit Declaration, Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the on 3 April 2008, ობ.: [www.nato.int/cps/ua/natohq/official\\_texts\\_8443.htm](http://www.nato.int/cps/ua/natohq/official_texts_8443.htm)
8. Warsaw Summit Communiqué, *Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Warsaw 8-9 July 2016*, ობ.: [www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_133169.htm](http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm)
9. Ronald D. Asmus: A Little War That Shook The World, ობ.: [www.gmfus.org/publications/little-war-shook-world-georgia-russia-and-future-west](http://www.gmfus.org/publications/little-war-shook-world-georgia-russia-and-future-west)
10. Wales Summit Declaration, *Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Wales* ობ.: [www.nato.int/cps/ic/natohq/official\\_texts\\_112964.htm](http://www.nato.int/cps/ic/natohq/official_texts_112964.htm)
11. Jens Stoltenberg: We reiterate support to Georgia, Feb 16, 2018, ობ.: [www.1tv.ge/en/news/jens-stoltenberg-reiterate-support-georgia/](http://www.1tv.ge/en/news/jens-stoltenberg-reiterate-support-georgia/)
12. Daniel Fried: Georgia Should Not Lose Hope, May 18, 2017, ობ.: [www.georgiatoday.ge/news/6573/Daniel-Fried%3A-Georgia-Should-Not-Lose-Hope](http://www.georgiatoday.ge/news/6573/Daniel-Fried%3A-Georgia-Should-Not-Lose-Hope)